აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 16

20 ივნისი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

(09-01-08/43, 15.06.2017)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრები *დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია*	*უმაღლესი საბჭოს წევრები* *დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

15.06.2017 წელი	წამყვანი კომისია: 21.06.2017 სხვა კომისიები: 21.06.2017	რიგგარეშე სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გაბაიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

19/06/2017
N 1657

1657-09-02-11-3-201706191338

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის თაობაზე
(N09-01-08/43, 15.06.2017)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად, განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 93^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -23- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ნინო ჩხეტია

09-01-03/93
15.06.2017
24. ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (გაზეთი „აჭარა“, №57, 31.03.2005) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“.

2. 32-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის აპარატის შემადგენლობაში არიან კომისიის აპარატის უფროსი და სპეციალისტები.“.

ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

3. 48-ე მუხლის:

ა) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, აპარატის უფროსის მოადგილეს, უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულების ხელმძღვანელებს;“.

ბ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხას, განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის, აპარატის უფროსის მოადგილის, აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და სხვა დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;“.

გ) „პ^{2}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ^{2}) წყვეტს უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრებისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციების მივლინების საკითხებს;“.

დ) „პ^{2}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ^{3}“ ქვეპუნქტი;

„პ^{3}) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს;“.

4. 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი კანონპროექტს გადასცემს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს ამ რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად. ამის შემდეგ კანონპროექტს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნასთან ერთად საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი გადასცემს ბიუროს უახლოეს სხდომას, თუ იგი წარდგენილია ბიუროს სხდომის წინა კვირის პარასკევამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი ბიუროს მომდევნო სხდომას გადაეცემა;

გ) ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, ამასთანავე, კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომისიას, სხვა კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, აგრეთვე მთავრობას;“.

5. მე-80 მუხლის:

ა) პირველი–მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს წარდგენილ კანონპროექტს. კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი. დაუშვებელია ბიუროს სხდომაზე განსახილველად იმ კანონპროექტის გატანა, რომელიც არ არის რეგისტრირებული უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში და რომელსაც არ ახლავს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნა.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი კანონპროექტს დარეგისტრირებისთანავე გადასცემს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი კანონპროექტს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნასთან ერთად და ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ბიუროს წევრებს გადასცემს ბიუროს სხდომამდე, როგორც წესი არაუგვიანეს წინა დღისა.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ ამ რეგლამენტის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბიუროსთვის გადაცემულ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის და საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

ა) კანონპროექტის დასახელება;

ბ) კანონპროექტის ინიციატორი;

გ) კანონპროექტის ავტორი;

დ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღი;

ე) წამყვანი კომისია;

ვ) კანონპროექტის კომისიის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;

ზ) სხვა კომისიები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს;

თ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი.

ბ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ამოწმებს წარდგენილი კანონპროექტის ამ რეგლამენტის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „გ"–„ე" ქვეპუნქტებსა და მე-3-მე-7 პუნქტებთან შესაბამისობას. თუ წარდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება ამ რეგლამენტის 79-ე მუხლის ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნებს, ბიურო უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს.

6. ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა წამყვან კომისიას, სხვა კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ასევე მთავრობას, და განთავსდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.".

6. 81-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაცია და უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნა.

2. იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი დასკვნას აკეთებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) შეესაბამება თუ არა, ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობას;

ბ) საჭიროა თუ არა ახალი კანონის მიღება ან კანონში ცვლილების განხორციელება;

გ) ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი ნორმატიული აქტებისა და სავალდებულო ცვლილების პროექტის ნუსხა.".

7. 84-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში სხვა კომისიები, ფრაქციები, მთავრობა, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი წამყვან კომისიას გადასცემენ თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტთან დაკავშირებით. თუ აღნიშნული სუბიექტები მითითებულ ვადაში არ წარმოადგენენ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე, კანონპროექტი მათ მიერ მოწონებულად ჩაითვლება.".

ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ბიუროსათვის წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს წამყვანი კომისიის დასკვნა, ასევე სხვა კომისიების, ფრაქციების, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტისა და სხვა უფლებამოსილი

სუბიექტების დასკვნები და მათი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი.“.

8. 96[1] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი უზრუნველყოფს უმაღლეს საბჭოში განსახილველად შეტანილი კანონპროექტების აღრიცხვას, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტთან ერთად აკონტროლებს მათი განხილვის მდგომარეობას საკანონმდებლო პროცესის განხორციელების სტადიების მიხედვით და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას ყოველკვარტალურად წარუდგენს ბიუროს და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას.“.

9. 97-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში, წამყვანი კომისიის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის), კომისიის აპარატის პასუხისმგებელი პირის, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის და საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტების უფროსების (მათი არყოფნის შემთხვევაში – მათი მოვალეობის შემსრულებლების) მიერ ვიზირებისა და სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.“.

10. 110[1]მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე მათი განხილვის გრაფიკი, დამტკიცების მომდევნო დღეს ეგზავნება კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ხოლო მთავრობას – მხოლოდ განხილვის გრაფიკი.“.

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია სხვა კომისიების, ფრაქციების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის და უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა დასკვნებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგენს დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის შემოსვლიდან არაუგვიანეს სამი კვირისა.“.

გ) 8[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8[1]. მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარმოდგენილი რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები 2 დღის ვადაში ეგზავნება კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.“.

11. 138[1] მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინების საფუძველზე იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

12. 140-ე და 141-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 140

უმაღლესი საბჭოს აპარატის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომების (სესიების) მომზადება;

ბ) უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომების მომზადება;

გ) უმაღლესი საბჭოს, მისი ბიუროს, კომისიების, ფრაქციებისა და საკითხის შემსწავლელი ჯგუფის სამართლებრივი, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა საკითხების გადაწყვეტა;

დ) უმაღლესი საბჭოს წევრების უზრუნველყოფა პლენარული (რიგგარეშე) სხდომების (სესიების) დღის წესრიგით გათვალისწინებული კანონპროექტებითა და სხვა მასალებით;

ე) უმაღლესი საბჭოს პლენარულ (რიგგარეშე) სხდომებზე (სესიებზე) კანონპროექტებისა და სხვა საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა;

ვ) უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის მათი უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ზ) უმაღლესი საბჭოს ბიუროს, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის, კომისიებისა და საკითხის შემსწავლელი ჯგუფის დავალებების შესრულება;

თ) უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობისა და უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის საინფორმაციო-საცნობარო და სხვა მასალების მომზადება;

ი) სესიებს შორის პერიოდში საჭირო საინფორმაციო მასალების მომზადება და უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის მიწოდება;

კ) უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომების (სესიების) და ბიუროს სხდომების ოქმების წარმოება;

ლ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ინტერნეტით უმაღლესი საბჭოს, კომისიების, ფრაქციებისა და საკითხის შემსწავლელი ჯგუფის საქმიანობის გაშუქება;

მ) უმაღლეს საბჭოში სახელმწიფო, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, უცხო ქვეყნების დელეგაციათა, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მიღების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ნ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს ოფიციალური დელეგაციებისა და უმაღლესი საბჭოს წევრების სამსახურებრივი მივლინების ორგანიზება;

ო) უმაღლეს საბჭოში ერთიანი საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;

პ) უმაღლესი საბჭოსა და აპარატის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა;

ჟ) უმაღლესი საბჭოს საჯარო მოსამსახურეთა საკადრო აღრიცხვიანობის უზრუნველყოფა, საიდუმლო საქმისწარმოების ორგანიზება, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან ერთად უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის შემუშავება და განხორციელება;

რ) უმაღლეს საბჭოში თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, მისი გამართულად მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა, აპარატის საქმიანობის ავტომატიზება და კომპიუტერული მომსახურება;

ს) საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობა;

ტ) კანონმდებლობით უმაღლესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის ხელის შეწყობა.

მუხლი 141

1. აპარატს ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის დანიშვნის შესახებ შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის უფლებამოსილების ვადად შესაძლებელია მითითებული იყოს კონკრეტული ვადა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;

გ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) მის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ე) სახელმწიფო ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა;

ვ) პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმების შედეგად ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა მის მიერ მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე ასეთი შემოწმებისთვის თავის არიდება;

ზ) გარდაცვალება;

თ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ინიციატივა.

4. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ინიციატივით უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამდე 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს შესაბამისად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს. თუ უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინიციატორია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს წევრი.".

13. 141[1] მუხლი ამოღებულ იქნეს;

14. 141[1]მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 141[2] მუხლი:

„მუხლი 141[2]

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობის დაშვებისა და რაოდენობის საკითხს წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის დანიშვნის შესახებ შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის უფლებამოსილების ვადად შესაძლებელია მითითებული იყოს კონკრეტული ვადა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა;

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;

გ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) მის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ე) სახელმწიფო ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა;

ვ) პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმების შედეგად ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა მის მიერ მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე ასეთი შემოწმებისთვის თავის არიდება;

ზ) გარდაცვალება;

თ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის ინიციატივა.

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის ინიციატივით აპარატის უფროსის მოადგილისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტამდე 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს შესაბამისად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ან უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს. თუ უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ინიციატორია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

5. აპარატის უფროსის მოადგილის ფუნქციებს ბრძანების საფუძველზე განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

14. 142-ე მუხლის:

ა) პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულების სახით შედიან დეპარტამენტები, კომისიების აპარატები და ბუღალტერია,

რომელთა შემადგენლობას, დამტკიცებული საშტატო ნუსხის თანახმად, შესაბამისი დეპარტამენტის, კომისიის თავმჯდომარისა და მთავარი ბუღალტრის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების უფროსებს და მთავარ ბუღალტერს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით, ხოლო კომისიების აპარატების უფროსებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით, თითოეული თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობები მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2.

ამ რეგლამენტის ამოქმედებისთანავე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი და აპარატის უფროსის მოადგილე თანამდებობებზე დაინიშნონ ამ რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 3.

ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს საჯარო მოსამსახურეთა სამ კატეგორიას: მოხელეებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს. ყოველივე აღნიშნული საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში“ რათა იგი შესაბამისობაში იყოს საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონთან.

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზს ასევე წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის სახელწოდების ცვლილება – იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტით.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

რეგლამენტის პროექტის მიზანია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის შესაბამისად, ცვლილებას შედის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-12, 32-ე, 39-ე, 48-ე, 138^1, 141-ე და 142-ე მუხლებში, ხოლო 141^1 მუხლი ამოღებულ იქნება რეგლამენტიდან.

მე-12 მუხლში შესატანი ცვლილებით, იცვლება კანონის სათაური და იქნება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან 2017 წლის 1 ივლისიდან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი იქნება ზემოაღნიშნული სათაურით.

32-ე მუხლი, რომელიც ეხება კომისიის აპარატის სტრუქტურას შესაბამისობაში მოდის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალ კანონთან. კომისიის აპარატის საშტატო თანამდებობიდან გამოდის კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე, ვინაიდან ახალი კანონის შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკური პირის თანაშემწე სამსახურში მიიღება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და იგი არ წარმოადგენს საშტატო თანამდებობას.

ვინაიდან ფრაქციის აპარატში საქმიანობა არ ითვლება საჯარო სამსახურად, რეგლამენტის 39-ე მუხლიდან ამოღებულ იქნება მე-5 პუნქტი. ამასთანავე, მე-5 პუნქტში მოცემული ცალკეული საკითხები დარეგულირებულია ამავე მუხლის მე-4 პუნქტით.

48-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, აპარატის უფროსის მოადგილეს, უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. ამავე მუხლის „პ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს

უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო ნუსხას, განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის, აპარატის უფროსის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და სხვა დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს.

პროექტის შესაბამისად, 141-ე მუხლი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რომლითაც დეტალურად გაიწერება უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი.

პროექტის შესაბამისად, რეგლამენტიდან ამოღებულ იქნება 141[1] მუხლი, ვინაიდან მისი საჭიროება არ არსებობს.

რეგლამენტს ემატება 141[2] მუხლი, რომლითაც ასევე დეტალურად გაიწერება აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი.

ვინაიდან ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" ახლებურად აწესრიგებს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცებისა და თანამდებობრივ ინსტრუქციებთან დაკავშირებულ საკითხებს 142-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით. ასევე ახალი რედაქციით ყალიბდება ამავე მუხლის პირველი პუნქტიც.

უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტისა და საერთო დეპარტამენტის (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) სახელწოდებების ცვლილებიდან გამომდინარე, ცვლილებები შედის რეგლამენტის 77-ე, მე-80, 81-ე, 84-ე, 96[1], 97-ე, 110[1] და 138[1] მუხლების შესაბამის პუნქტებში, სადაც – იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასახელება იცვლება – იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასახელებით, ხოლო საერთო დეპარტამენტის (საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) დასახელება იცვლება – ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის დასახელებით.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული რეგლამენტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება, მათ შორის ხდება ამოღება

მუხლი 12

1. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია «საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

2. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოებიდან წარმოდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ ინფორმაციას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეაქვს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველად.

მუხლი 32

1. კომისიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება უმაღლესი საბჭოს კომისიის აპარატი, რომელიც წარმოადგენს კომისიისადმი დაქვემდებარებულ უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

2. კომისიის აპარატი:

ა) მონაწილეობს კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) ასრულებს კანონმდებლობით, კომისიის, უმაღლესი საბჭოს აპარატისა და კომისიის აპარატის დებულებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. კომისიის აპარატის შემადგენლობაში შედიან კომისიის აპარატის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე და სპეციალისტები.

4. კომისიის აპარატის უფროსი:

ა) კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ახორციელებს კომისიის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას, კომისიის აპარატის მუშაკთა შორის ანაწილებს ფუნქციებსა და დავალებებს, პასუხისმგებელია კომისიის აპარატისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებაზე, კოორდინაციას უწევს კომისიის აპარატსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობებს;

ბ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას;

გ) უზრუნველყოფს კომისიის აპარატის მუშაკთა მიერ შრომის დისციპლინის დაცვას, კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

დ) ასრულებს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის დავალებებს.

5. კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე უზრუნველყოფს:

ა) კომისიის თავმჯდომარის და კომისიის მიერ გამართული სხდომების, ღონისძიებების და საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;

ბ) კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის საქმიანობის შესახებ მასსმედიის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თავმოყრასა და სისტემატიზაციას;

გ) კომისიის სხდომების, შეხვედრების, ღონისძიებების გამართვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;

დ) კომისიის თავმჯდომარისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის გამართვისას დახმარების გაწევას: ბიუროს მასალების მიწოდებას, ინიციატივების დარეგისტრირებას.

6. კომისიის აპარატის სპეციალისტები:

ა) მუშაობენ კომისიის დებულებით განსაზღვრულ დარგობრივ მიმართულებათა საკითხებზე; მონაწილეობენ კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნებისა და მოხსენებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) აღნუსხავენ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტების განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

გ) ასრულებენ კომისიის, კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრთა დავალებებს.

7. კომისიის აპარატის უფროსს - შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით და კომისიის აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებს, შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

მუხლი 39

1. ფრაქციის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სათანადო პირობები და გამოიყოფა შესაბამისი თანხა.

2. სხდომათა დარბაზში ფრაქციას გამოეყოფა შესაბამისი ადგილი, ხოლო უმაღლესი საბჭოს შენობაში - სამუშაო ფართობი.

3. ფრაქციის საქმიანობას უზრუნველყოფს ფრაქციის აპარატი. ფრაქციის აპარატის თანამშრომელთა სახელფასო ფონდს, რომელიც განისაზღვრება ფრაქციის წარმომადგენლობის პროპორციულად, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. ფრაქციის აპარატის თანამშრომლებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, ფრაქციის თავმჯდომარის წარდგინებით.

5. ფრაქციის აპარატის საშტატო ერთეულთა რაოდენობა, ფრაქციისთვის უმაღლესი საბჭოს შენობაში გამოყოფილი სამუშაო ფართობი და ფრაქციის საქმიანობის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი თანხა, როგორც წესი, განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ უმაღლესი საბჭოს წევრთა პროპორციულად.

მუხლი 48

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს უმაღლეს საბჭოს სხვა ორგანოებთან ურთიერთობაში;

ბ) უძღვება უმაღლესი საბჭოს მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი საბჭოს ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობას;

გ) იწვევს და თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს სხდომებს, საჭიროების შემთხვევაში თავის მოადგილეს ავალებს ამ უფლებამოსილების განხორციელებას;

გ[1]) უფლებამოსილია დასვას საკითხი უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის ან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის (გარდა კანონპროექტებისა) რიგგარეშე განხილვისა და კენჭისყრის შესახებ;

დ) ბრძანებით განსაზღვრავს თავისი მოადგილის საქმიანობის სფეროებს, აძლევს მას ცალკეულ დავალებებს;

დ[1]) ამოღებულია;

ე) ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ აქტებს;

ე[1]) ხელს აწერს და აქვეყნებს რეგლამენტს;

ვ) იღებს ზომებს უმაღლესი საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრის უსაფრთხოებისა და მათი ღირსების დაცვის უზრუნველსაყოფად;

ზ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი საბჭოს აპარატისა და სხვა დამხმარე სტრუქტურების საქმიანობას;

ზ[1]) საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების მიზნით ქმნის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებულ სათათბირო ორგანოებს: სამეცნიერო-საკონსულტაციო და ხაზინადართა საბჭოებს;

ზ[2]) საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების წარმომადგენლებისაგან საქართველოს პარლამენტში შექმნილ ერთობლივ საკოორდინაციო საბჭოში ნიშნავს უმაღლესი საბჭოს სამ წევრს;

ზ[3]) ამ რეგლამენტის 142[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელმძღვანელობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდგომში – გენდერული თანასწორობის საბჭო);

ზ[4]) ამტკიცებს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობას;

თ) საკუთარი უფლებამოსილების ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, აპარატის უფროსის მოადგილეს, აპარატის შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს (გარდა კომისიების აპარატების უფროსებისა);

თ[1]) განკარგულებით აცხადებს ღია კონკურსს მრჩეველთა საბჭოს წევრის – მრჩევლის ვაკანსიაზე;

თ[2]) „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად, ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ, განკარგულებით ქმნის მრჩეველთა საბჭოს წევრობის – მრჩევლის კანდიდატთა შესარჩევ საკონკურსო კომისიას;

ი) აუცილებლობის შემთხვევაში მოიწვევს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიას ან სხდომას;

კ) იწვევს და თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომებს;

ლ) რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას წარუდგენს თავისი მოადგილის კანდიდატურას;

მ) უმაღლესი საბჭოს შენობაში ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

ნ) საერთო კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვას;

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს;

ო[1]) უმაღლესი საბჭოს სახელით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, რწმუნებებს (მინდობილობებს) საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში.

პ) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს აპარატის საშტატო განრიგს, განსაზღვრავს შრომის ანაზღაურებას;

პ[1]) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესებს;

პ[2]) წყვეტს უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრებისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციების სხვა სახელმწიფოში მივლინების საკითხებს;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ამ რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 77

1. უმაღლეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი განხილვისას გადის შემდეგ პროცედურებს:

ა) კანონპროექტი რეგისტრაციისათვის გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს; (16.05.2013. №54)

ბ) უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი კანონპროექტს გადასცემს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს ამ რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად. ამის შემდეგ კანონპროექტს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნასთან ერთად საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი გადასცემს ბიუროს უახლოეს სხდომას, თუ იგი წარდგენილია ბიუროს სხდომის წინა კვირის პარასკევამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი ბიუროს მომდევნო სხდომას გადაეცემა; (16.05.2013. №54)

გ) ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, ამასთანავე, კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომისიას, სხვა კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, აგრეთვე მთავრობას; (16.05.2013. №54)

დ) წამყვანი კომისია კანონპროექტს მიღებიდან 14 დღის ვადაში განიხილავს კომისიის სხდომაზე, რის შემდეგაც კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებით გადაეცემა ბიუროს, პირველი მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის უმაღლესი საბჭოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად; (16.05.2013. №54)

ე) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომისიას პირველი მოსმენისას გათვალისწინებული შენიშვნების ასახვისათვის და უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის მოსამზადებლად; (16.05.2013. №54)

ე[1]) პირველი მოსმენით მიღებიდან 10 დღის ვადაში წამყვანი კომისია კანონპროექტს განიხილავს კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად, ქვეპუნქტების, პუნქტების, მუხლების ან/და თავების მიხედვით; (16.05.2013. №54)

ვ) წამყვანი კომისიის მიერ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნით და ალტერნატიული წინადადებებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაეცემა უმაღლესი საბჭოს ბიუროს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად მეორე მოსმენით განხილვისათვის; (16.12.2010. №108)

ზ) მეორე მოსმენით კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე განიხილება მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით;

თ) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომისიას, რომელიც 5 დღის ვადაში ახდენს მეორე მოსმენისას გაზიარებული შენიშვნების კანონპროექტში ასახვას და მისი მესამე მოსმენისათვის მომზადებას; (17.09.2008. №311)

ი) წამყვანი კომისიის მიერ კანონპროექტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს ბიუროს მესამე მოსმენით განხილვისათვის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად; (17.09.2008. №311)

კ) უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვის დასრულების შემდეგ კენჭი ეყრება კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებულ ვარიანტს;

ლ) კანონპროექტი მესამე მოსმენით მიღებიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ხელმოსაწერად და კანონის გამოსაქვეყნებლად.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტზე გაგზავნილი კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს მის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. (27.02.2013. №36)

მუხლი 80 (16.05.2013. №54)

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს, რომელიც აღრიცხავს და რეგისტრაციაში ატარებს წარდგენილ კანონპროექტს. კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღად მიიჩნევა მისი უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი. დაუშვებელია ბიუროს სხდომაზე განსახილველად იმ კანონპროექტის გატანა, რომელიც არ არის რეგისტრირებული უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში და რომელსაც არ ახლავს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნა.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი კანონპროექტს დარეგისტრირებისთანავე გადასცემს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი კანონპროექტს იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნასთან ერთად და ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ბიუროს წევრებს გადასცემს ბიუროს სხდომამდე, როგორც წესი არაუგვიანეს წინა დღისა.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ ამ რეგლამენტის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ბიუროსთვის გადაცემულ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა და საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ ბიუროს გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც მითითებულია:

ა) კანონპროექტის დასახელება;

ბ) კანონპროექტის ინიციატორი;

გ) კანონპროექტის ავტორი;

დ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის თარიღი;

ე) წამყვანი კომისია;

ვ) კანონპროექტის კომისიის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი;

ზ) სხვა კომისიები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს;

თ) კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი.

4. ბიურო იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე"–„თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი ამოწმებს წარდგენილი კანონპროექტის ამ რეგლამენტის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ"–„ე" ქვეპუნქტებსა და მე-3-მე-7 პუნქტებთან შესაბამისობას. თუ წარდგენილი კანონპროექტი არ შეესაბამება ამ რეგლამენტის 79-ე მუხლის ზემოაღნიშნული პუნქტების მოთხოვნებს, ბიურო უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე კანონპროექტი ხარვეზის გამოსასწორებლად დაუბრუნოს მის ინიციატორს.

6. ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა წამყვან კომისიას, სხვა კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, ასევე მთავრობას, და განთავსდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. (10.02.2017. №26)

7. კანონპროექტი, რომელიც იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას, უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები - მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

მუხლი 81 (21.02.2007. №233)

1. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაცია და უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნა. (16.05.2013. №54)

2. იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი დასკვნას აკეთებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) შეესაბამება თუ არა, ან ხომ არ ეწინააღმდეგება კანონპროექტი საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობას;

ბ) საჭიროა თუ არა ახალი კანონის მიღება ან კანონში ცვლილების განხორციელება; (16.05.2013. №54)

გ) ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი ნორმატიული აქტებისა და სავალდებულო ცვლილების პროექტის ნუსხა. (27.12.2012. №21)

3. საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაცია მოიცავს ამ რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ საპროცედურო

მოთხოვნებთან კანონპროექტის მომზადებისა და განხილვის მსვლელობის შესაბამისობის საკითხებს. (27.12.2012. №21)

4. კანონპროექტის ინიციატორს უფლება აქვს სათანადოAმოტივაციით გამოითხოვოს იგი პირველი მოსმენით მიღებამდე.

მუხლი 84

1. კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში სხვა კომისიები, ფრაქციები, მთავრობა, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი წამყვან კომისიას გადასცემენ თავიანთ შენიშვნებს კანონპროექტთან დაკავშირებით. თუ აღნიშნული სუბიექტები მითითებულ ვადაში არ წარმოადგენენ შენიშვნებს კანონპროექტის თაობაზე, კანონპროექტი მათ მიერ მოწონებულად ჩაითვლება. (16.05.2013. №54)

2. წამყვანი კომისია კანონპროექტს მიღებიდან 14 დღის ვადაში იხილავს კომისიის სხდომაზე. წამყვანი კომისიის სხდომა მოწვეული უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც ბიუროს მიერ განსაზღვრული ის კომისიები, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს კანონპროექტს, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში წამყვან კომისიას გადასცემენ თავიანთ დასკვნებს კანონპროექტის თაობაზე. (16.05.2013. №54)

3. კანონპროექტი კომისიის სხდომაზე განიხილება მუხლობრივად. საჭიროების შემთხვევაში კენჭი ეყრება შენიშვნებს. (17.09.2008. №311)

4. კომისიის სხდომაზე განხილვის შედეგად კანონპროექტი შეიძლება ცნობილ იქნეს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად, კანონპროექტის არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად ცნობა არ აბრკოლებს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას. (17.09.2008. №311)

5. წამყვანი კომისიის დასკვნის გარეშე დაუშვებელია კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გატანა. თუ ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის ვადაში წამყვანი კომისია არ გამართავს სხდომას და არ გამოხატავს თავის პოზიციას კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტის ინიციატორი უფლებამოსილია მიმართოს წამყვან კომისიას მისი განხილვის მოთხოვნით ან ბიუროს წინაშე დასვას წამყვანი კომისიის დასკვნის გარეშე კანონპროექტის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანის საკითხი. (16.05.2013. №54)

6. თუ ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში წამყვანი კომისია ვერ ახერხებს კომისიის სხდომის გამართვას და დასკვნით წარდგენას, კომისიის თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია განსაზღვროს კანონპროექტის კომისიაში განხილვის ახალი ვადა. (17.09.2008. №311)

7. კანონპროექტზე წამყვანი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - მისი მოადგილე. (17.09.2008. №311)

8. კანონპროექტზე წამყვანი კომისიის უარყოფითი დასკვნა არ აბრკოლებს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის დაწყებას. (17.09.2008. №311)

9. წამყვანი კომისიის სხდომის შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შესატანად. ამასთან, კანონპროექტის თითოეული

გვერდი ვიზირებული უნდა იყოს წამყვანი კომისიის აპარატის უფროსის მიერ. (27.12.2012. №21)

10. ბიუროსათვის წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთოდეს წამყვანი კომისიის დასკვნა, ასევე სხვა კომისიების, ფრაქციების, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტისა და სხვა უფლებამოსილი სუბიექტების დასკვნები და მათი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი. 16.05.2013. №54)

მუხლი 96[1] (21.11.2007. №272)

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი უზრუნველყოფს უმაღლეს საბჭოში განსახილველად შეტანილი კანონპროექტების აღრიცხვას, იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტთან ერთად აკონტროლებს მათი განხილვის მდგომარეობას საკანონმდებლო პროცესის განხორციელების სტადიების მიხედვით და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას ყოველკვარტალურად წარუდგენს ბიუროს და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას. (27.12.2012. №21))

2. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია განიხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას. იგი უფლებამოსილია კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები. კომისია განხილვის შედეგებს საჭიროების შემთხვევაში მოახსენებს უმაღლეს საბჭოს. (17.09.2008. №311)

მუხლი 97

1. უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში, წამყვანი კომისიის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილის), კომისიის აპარატის პასუხისმგებელი პირის, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა და საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტების მიერ ვიზირებისა და სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. (27.12.2012. №21)

2. მთავრობის თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი წესით, 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს. (17.09.2008. №311)

მუხლი 110[1] (01.04.2010. №77)

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის უმაღლეს საბჭოში განხილვის გრაფიკის პროექტს ადგენს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე მათი განხილვის გრაფიკი, დამტკიცების მომდევნო დღეს ეგზავნება კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ხოლო მთავრობას – მხოლოდ განხილვის გრაფიკი. (27.12.2012. №21)

3. დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს განიხილავენ

კომისიები, ფრაქციები და უმაღლესი საბჭოს ის წევრები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. ისინი ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რომლებიც ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას. კომისიების მიერ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, შესაძლებელია ერთობლივი სხდომის ჩატარება და კომისიების ერთობლივი დასკვნის მომზადებაც. (27.02.2013. №36)

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად განხილვას ორგანიზებას უწევს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია, რომელიც უმაღლესი საბჭოს ბიუროს საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს ინფორმაციას მათი განხილვის მიმდინარეობის თაობაზე.

5. კომისიებში განხილვის დროს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს, პრიორიტეტების დოკუმენტს და მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მოხსენებას ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად წარადგენს შესაბამისი სამინისტროს მინისტრი ან მისი მოადგილე. (27.02.2013. №36)

6. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია სხვა კომისიების, ფრაქციების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის და უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა დასკვნებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგენს დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის შემოსვლიდან არაუგვიანეს სამი კვირისა. (27.02.2013. №36)

7. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ, წარმოდგენილი დასკვნების განხილვის შემდეგ მზადდება შენიშვნის ფურცელი, რომელიც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ ბიუროს სხდომის მომდევნო დღეს ეგზავნება მთავრობის თავმჯდომარეს. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამის პრიორიტეტების დოკუმენტზე დასაგეგმისშემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე გამოთქმული შენიშვნები სარეკომენდაციო ხასიათისაა. (27.02.2013. №36)

8. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების მთავრობის თავმჯდომარისათვის გადაგზავნის შემდგომ, არა უგვიანეს ორი კვირისა, მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს წარმოუდგენს ინფორმაციას წარდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ, თითოეული მათგანის გათვალისწინების მდგომარეობის განმარტებით. (27.02.2013. №36)

8[1]. მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლესი საბჭოსათვის წარმოდგენილი რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები 2 დღის ვადაში ეგზავნება კომისიებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. (27.02.2013. №36)

9. წინადადებები (შენიშვნები), რომელთა გათვალისწინებაზეც მთავრობამ თანხმობა განაცხადა, უნდა აისახოს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში. ასეთ შემთხვევაში კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ.

მუხლი 138[1]

1. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭო, არა უგვიანეს 1 ივნისისა. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტში უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით.

1[1]. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დადგენილების მიუღებლობის შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოსათვის მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების შესაბამისად.

2. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას, საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი ფორმირდება კომისიების, ფრაქციების, ხაზინადართა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის წინადადებების საფუძველზე და ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას.

3. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტს თავის დასკვნასთან ერთად საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია განსახილველად გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

4. უმაღლესი საბჭოს ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ.

4[1]. რესპუბლიკურ ბიუჯეტში უმაღლესი საბჭოსათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირება წინა და მიმდინარე წლების დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ შესაბამის მოცულობასთან შედარებით შესაძლებელია მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით – დადგენილებით.

4[2]. უმაღლესი საბჭოსათვის რესპუბლიკურ ბიუჯეტში დამტკიცებული ასიგნებების ჯამური მოცულობის შემცირების თაობაზე შესაბამის წინადადებებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამ მუხლის 4[1] პუნქტით გათვალისწინებული დადგენილების პროექტის მომზადებისა და უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის მიზნით უგზავნის საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას.

5. უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს უმაღლესი საბჭოსათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი გადანაწილების პროცენტული ოდენობის მიხედვით _ უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით.

6. შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭოს აპარატის საერთო დეპარტამენტის (საფინანსო–სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის) წარდგინების საფუძველზე იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

7. უმაღლეს საბჭოში საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული ხაზინადართა საბჭოს მეშვეობით.

8. ხაზინადართა საბჭო არის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანო, რომლის საქმიანობის წესი განისაზღვრება ხაზინადართა საბჭოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

9. უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასიდან და სადეპუტატო უფლებამოსილების ანაზღაურებიდან ამ რეგლამენტით და უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დისციპლინარული დარღვევების შემთხვევებში, ხელფასიდან დაკავებული თანხები აისახება უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში. ასახული თანხების მიზნობრივად განკარგვის თაობაზე კონკრეტულ წინადადებებს ამზადებს ხაზინადართა საბჭო. თანხის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას, უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით, იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 141

1. უმაღლესი საბჭოს აპარატს ხელმძღვანელობს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, ამ რეგლამენტის 48-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს წევრი.

3^1. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობის დაშვების საკითხს წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს, უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ასევე მთავარ ბუღალტერს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

5. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის წარდგინებით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 141^1

უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელე, რომელიც ამ რეგლამენტის შესაბამისად, დანიშნულია უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით, შესაბამისი თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს შესაბამისი ახალი თანამდებობის პირის არჩევამდე (დანიშვნამდე).

მუხლი 142

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის შემადგენლობაში სტრუქტურული ერთეულების სახით შედიან: დეპარტამენტები, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო, ბუღალტერია და კომისიების აპარატები, რომელთა შემადგენლობას, თანახმად დამტკიცებული საშტატო განრიგისა, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ხოლო უმაღლესი

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს – უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და კომისიების აპარატების – შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის თანაშემწეს - შესაბამისი უფლებამოსილების ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. უმაღლესი საბჭოს აპარატის მუშაკთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კანონმდებლობით, შესაბამისი სტრუქტურული საკოორდინაციო ერთეულის დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციით.

3. უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

5. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

6. უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაშვებია პრაქტიკისა და სტაჟირების გავლა. პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის წესს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

7. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, კომისიების მოსაზრების გათვალისწინებით განსაზღვრავს აპარატის, მათ შორის კომისიების აპარატების შტატებს, მუშაკთა შრომის ანაზღაურებას, სამუშაო პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.